



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 მაისი 2024



N 234/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. დვაბზუში შპს „პარვუს რომკას“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „პარვუს რომკას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში არსებულ ჯამურად 4 196 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.19.17.506 და 26.19.17.511), რომელთაგან 26.19.17.506 საკადასტრო ერთეული წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას, ხოლო 26.19.17.511 საკადასტრო ერთეული – სახელმწიფოს საკუთრებას და მასზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით, მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 190 მეტრით, ხოლო უშუალოდ სამსხვრევ-დამახარისხებელი ხაზიდან – 205 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ნატანები, მიედინება დაახლოებით 235 მეტრში. საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ განთავსებულია შპს „პარვუს კუროსის“ ბეტონის საწარმო, 330 მეტრში – შპს „New Road“-ის ასფალტისა და ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო, ხოლო 550 მეტრში შპს „ეტალონის“ ტორფის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო წარმოდგენილი იქნება 60 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მქონე ერთი ტექნოლოგიური ხაზით (GPS კოორდინატები: X-257401, Y-4647266; X-257370, Y-4647278; X-257404, Y-4647292; X-257380, Y-4647247; X-257428, Y-4647270; X-257391, Y-4647267), რომლის შემადგენლობაში შევა: მიმღები ბუნკერი; ყბებიანი, ჩაქურებიანი და როტორული სამსხვრევები; ვიბრაციული საცერ-დამახარისხებლები; ქვიშის სარეცხი განყოფილება და ლენტური ტრანსპორტიორები. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა ვაგონის ტიპის საკონტროლო ოთახი (სამეთვალყურეო კაბინა); ნედლეულისა და პროდუქციის სასაწყობე ღია მოედნები; 5 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარი; სამსეციანი სალექარი; 10 მ<sup>3</sup> მოცულობის საასენიზაციო ორმო; დიზელ-გენერატორი; მისასვლელი ბაქანი; დაცვისა და სასაწყობე ჯიხურები. საწარმო იმუშავებს წელიწადში 335 დღე, 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით და დასაქმდება 4 ადამიანი. ობიექტზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 170 448 მ<sup>3</sup> (272 720 ტ) სასარგებლო წიაღისეულის (ბალასტი) სველი მეთოდით გადამამუშავება და პროდუქციის სახით 160 800 მ<sup>3</sup> (257 280 ტ) ინერტული მასალის (ქვიშა-ღორღი) მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოში ნედლეულის შეტანა განხორციელდება ძარაგადახურული ავტოთვითმცლელების საშუალებით, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზატკეცილითა და საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზით. ნედლეულის გადაზიდვისთვის გამოყენებული მარშრუტები მაქსიმალურად იქნება არიდებული დასახლებულ პუნქტებს. ობიექტზე შეტანილი ნედლეული დასაწყობდება ღია სასაწყობე მოედანზე, საიდანაც დამტვირთველის საშუალებით ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერებში. ბუნკერებიდან ნედლეული გადავა სამსხვრევებში, ხოლო შემდგომ საცერ-დამხარისხებლებსა და ქვიშის სარეცხ განყოფილებაში. მიღებული პროდუქცია, ფრაქციების მიხედვით, განთავსდება ღია სასაწყობე მოედანზე. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი იქნება ავტომატიზებული და მისი მართვა განხორციელდება სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორის მეშვეობით. მიღებული პროდუქცია გატანილი იქნება მომიჯნავედ არსებული შპს „პარვუს კუროსის“ ბეტონის საწარმოს ნედლეულით მოსამარაგებლად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის დასაგროვებლად განთავსდება 5 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი, რომელიც მომარაგდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოო დანიშნულებით წყალაღება საჭირო იქნება სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით გადასამუშავებლად, რისთვისაც წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 160 800 მ<sup>3</sup> წყალი. საწარმოო მიზნით წყალაღება მოხდება მდ. ნატანებიდან, 50 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მქონე ტუმბოს საშუალებით, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-257447, Y-4646900. ობიექტზე იფუნქციონირებს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ, საწარმოო პროცესში მოხმარებული წყალი, სამსექციანი სალექარის გავლით, დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით, მდ. ნატანებიდან წყლის აღება განხორციელდება მხოლოდ ბუნებრივი ან/და ტექნოლოგიური დანაკარგების შევსების მიზნით. საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის წელს მდ. ნატანებიდან გათვალისწინებულია 42 000 მ<sup>3</sup> წყლის აღება, ხოლო შემდგომ წლებში აღებული იქნება წელიწადში 40 200 მ<sup>3</sup> წყალი. რაც შეეხება ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვას, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სადრენაჟე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების სწრაფ გადინებას საწარმოო ტერიტორიიდან, ხოლო სანიაღვრე წყლების პოტენციურად დაბინძურების უბანი (დიზელ-გენერატორი) გადაიხურება და მოპირკეთდება ბეტონის საფარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გათვალისწინებით, ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები შეიკრიბება 10 მ<sup>3</sup> მოცულობის სასენიზაციო ბეტონის ორმოში, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს მოწყობის სამუშაოები გულისხმობს ტექნოლოგიური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებასა და ადგილზე დამონტაჟებას, რაც გაგრძელდება 7 დღის განმავლობაში. აღნიშნული სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის

რაოდენობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება დაგეგმილია სველი მეთოდით, რაც ამცირებს მსხვრევის დროს წარმოქმნილი არაორგანული მტვრის ნაწილაკების რაოდენობას. გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელიც განხორციელდა მიმდებარედ არსებული ობიექტებიდან მოსალოდნელი გაფრქვევების ფონური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის კონცენტრაცია, როგორც 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე, ისე უახლოეს მოსახლესთან (190 მეტრი), არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს მოწყობის სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც ჩატარდა მიმდებარედ არსებულ საწარმოებთან ერთობლივად მუშაობის პირობებში. მიღებული შედეგების თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე, კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, შეადგენს 38 დბა-ს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საწარმო იფუნქციონირებს მხოლოდ დღის საათებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, სალექარში დაგროვებული ლამი, დასაწყობდება პროდუქციის სასაწყობე მოედანზე და პერიოდულად გატანილი იქნება სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც არსებული ფლორისტული გარემო დეგრადირებულია და ჩამოყალიბებულია მეორეული მცენარეული საფარი. ანთროპოგენური დატვირთვის გათვალისწინებით, საპროექტო არეალის სიახლოვეს ფაუნის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი საკონსერვაციო ღირებულების სახეობები, არ ბინადრობენ. დოკუმენტის თანახმად, საველე კვლევის ფარგლებში, საკვლევ არეალში ფაუნისტური გარემოს ცხოველქმედების ფაქტები არ გამოვლენილა. აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითად შესაძლებელია შეგვხდეს ფაუნისტური გარემოს სინანტროპული სახეობები, ძირითადად მცირე ზომის ძუძუმწოვრები, რომელთა ცხოველქმედების ნირი, ადგილსპეციფიური გარემოებებიდან გამომდინარე, თავსებადია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დაბალი სიმძლავრით (5-8 სმ). საწარმოს მოწყობის ეტაპზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 134,24 მ<sup>3</sup>-ს, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი, გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიისა და მიმდებარე დაზიანებული უბნების სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.

წარმოდგენილ დოკუმენტში საწარმოს ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია მიმდებარედ არსებულ საწარმოებთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში ხმაურის გავრცელებით, ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღებით მდ. ნატანების დებეტზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. როგორც უკვე აღინიშნა, კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად, გაბნევის ანგარიშისა და ხმაურის გავრცელების მოდელირებისას ფონურ მაჩვენებლებად აღებული იქნა მიმდებარედ არსებული ობიექტების გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები. რაც შეეხება მდ. ნატანებიდან წყლის ამოღებით ზედაპირული წყლის ობიექტის დებეტზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, აღსანიშნავია, რომ მიმდებარედ არსებული შპს „New Road“-ის საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით მდ. ნატანებიდან აღებული წყლის ძირითადი ნაწილი უკან ბრუნდება მდინარეში, ხოლო შპს „პარვუს რომკას“ მიერ დაგეგმილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და მდ. ნატანებიდან წყალაღება მოხდება მხოლოდ ბუნებრივი და ტექნოლოგიური დანაკარგების შესავსებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოსა და მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთობლივი ექსპლუატაცია, არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, მახასიათებლებისა და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების მეთოდის გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში შპს „პარვუს რომკას“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „პარვუს რომკა“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პარვუს რომკას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარვუს რომკას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

